# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 285 სამშაბათი, 22 დეკემბერი 1909 წ. № 285


განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ვუბრუნებთ. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**

---

მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის

წლიწადი მესამე **დროება** წლიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა.

**✦ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ✦**

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**4** მან. **80** კაპ., ერთი თვით—**80** კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ✦——**

**——✦ დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თეის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Агладзе.

მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის

---

ნატალია ვახტანგის ასულის კნეინა ამირეჯიბის

სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ოთხშაბათს, 23 დეკემბერს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილი **როსებ თადეოზის ძე ამირეჯიბი**, რძალი **კნ. სალომე გიორგის ასული ამირეჯიბისა** და შვილის შვილები **გიორგი** და **ქაიხოსრო როსების ძენი ამირეჯიბები** და **თამარ როსების ასული ყანჩელისა**. წირვა დაიწყება დილის $10^1/_2$ საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (2—6.—1)

---

ულრმეს მადლობას ვუცხადებთ ყველას—საზოგადოებებსა თუ კერძო პირებს—ვინც ჩვენი გადაუტანელი მწუხარება გაიზიარა და ჩვენის ძვირფას **ი ლ ი უ შ ა ს** გარდაცვალების გამო გვანუგეშა პირადად, წერილობითი ან დეპეშით უბედური მშობლები **ლისა** და **ალექსანდრე** და ძმები **გიორგი** და **მიშა საბახტარიშვილები**. (1—6.—1)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიის ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**სობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—6.—68)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ს. **მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.
ბ. ა. **პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. **ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგეობით. (წლ.—6.—230)

---

**ექიმი** ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—19)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—78)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში.
იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ზ. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—6.—10)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—326)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი
არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ მედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის მეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ზალ.—78)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—132)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი
ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ეუთხე). (100—ზალ.—91)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი** ა ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

---

**ქ უ თ ა ი ს შ ი**
კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—66)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**
მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.
**ავადმყოფთა მიღება:**

მ. **ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
ნ. **ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
ვ. **ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
ი. **ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს
მ. **კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
მ. **მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
ლ. **მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
მ. **კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—88)

## იყიდება

ორ-სართულიანი

## სახლი

მატერიალნი ქუჩაი, № 10, ვერა.
იკითხეთ იქვე.

---



## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

სამშაბათს, 22 დეკემბერს, გაიმართება დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ ევროპიელი არტისტები, **სულ ახალი დასი,** პირველად ტფილისში. უდიდესი პროგრამა. უკანასკნელი პროგრამმა საზღვარ-გარეთის ცხოვრებისა და იპოდრომებისა. დასასრულ დიდი ბალეტი **„ბალიბალი".** დაწვრილებით პროგრამებში.

**დასაწყისი საღამ. $8^1/_2$ საათზე.**

**ანონსი:** 26 და 27 დეკემბერს ორ-ორი წარმოდგენა. დღისით ბავშვებისათვის, დაკლებულის ფასებით. დასაწყისი **2** საათზე.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.**

(0—ხ.—3) გამგე **გამსახურდია.**

---

## გლეხი-კაცის ისტორია

**◀ მიიღება ხელის მოწერა გლეხი-კაცის ისტორიაზე ▶**

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შიმდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი"-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების" და „მომავლის" ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—13)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.
**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.
**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ჩუდნოვსკი**—ნერვებ,' სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2
**აბულედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—6.—130)

**ექიმი** გ. მაგაკიანი
**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—63)

---

**სორაპნის ამხ. გამოცემა.**

**ქართველი და უცხოელი მწერლები**

მიიღება ხელის მოწერა

**მეოთხე წიგნზე**

## ● გამდეგილი ●

**ლექსები და მოთხრობები**

წიგნი ჩვეულებრივ ფორმატისა იქნება, 225 გვერ. და ხელის მომწერლებისათვის **ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანად.** ავტორის სურათითა და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით

**გაუმჯობესებული იქნება**

ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს. წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა. ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის მარკები—40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვში.

ადრესი: Тиф., Т-ва «Сорапань». (10—4)

---

## ტფილისის სობრანიე

სამშაბათს, 22 დეკემბერს, წევრთა, კანდიდატთა, მათ ოჯახთა და სტუმართათვის გაიმართება

**სამუსიკო-სალიტერატურო საღამო**

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი გავრიშევა, პალცევა, სტოგინა; ბ-ნნი ცხომელიძე, პალცევი, ადამიძე, არაქსიანი და მირალიანი.

დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი და სახანდარი. ევროპიული და კავკასიური ცეკვა.

ბილეთების ფასი 30—75 კაპ. იყიდება „სობრანიეს" შვეიცართან. სტუმრები საზოგადო წესით.

**კაბინეტი** **ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—136)

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„საქართველოს მოამბის" უკანასკნელ ნომერში ფ. გოგიჩაიშვილი ეხება ჩვენს მისწრაფებას სწავლა-განათლების საქმეში. აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქართველობაში საკმაოდ არის გაღვიძებული წყურვილი სწავლა-განათლების მიღებისა, მაგრამ ეს წყურვილი კმაყოფილდება მხოლოდ მოხელეობისადმი ტრფიალით. გარდა იმისა, რომ რუსეთში სასწავლებელთა უმრავლესობა დაარსებულია მოხელეთა მოსამზადებლად, ჩვენ განსაკუთრებით ვეტანებით იმ სასწავლებლებს, რომლებიც ზედ გამოჭრილია ამ საქმისთვის—გიმნაზიასა და უნივერსიტეტს. ჩვენ თვალში ჩინოვნიკობას დიდი ფასი დაედო საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდანვე. ქართველი თავად-აზნაურობა ყველაზე ადვილად მაშინ ჩინოვნიკობას შეეგუა, მით უმეტეს, რომ მთავრობაც ხელს უწყობდა ამას და აარსებდა სპეციალურ სასწავლებლებს. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ თავად აზნაურობას წაჰბაძეს სხვებმაც.

ამ შემთხვევაშიაც, როგორც ბევრს სხვა რამეში, თავად-აზნაურობის მაგალითი და შეხედულება მიაბაძა გახდა ქართველობის სხვა ელემენტებისთვისაც. როგორც თავად-აზნაურობა რუსულ სასწავლებლებს ეტანებოდა და დღესაც ეტანება იმ მიზნით, რომ შემდეგ, დიპლომის საშუალებით, სახელმწიფო სამსახური მიიღოს, ისევე სხვა ელემენტებიც სწორედ უფრო იმგვარ სასწავლებლებს ელტვიან, რომლებშიაც სწავლება ჩინოვნიკების მოსამზადებლად არის მომართული. მართალია, რუსეთში საზოგადოდ ყველა სასწავლებლები სახელმწიფო მოხელეთა მომზადების საქმეს ემსახურებიან, მაგრამ განსაკუთრებით ასეთი მიზანი უფრო გიმნაზიისა და უნივერსიტეტის დამახასიათებელია. და, აი, სწორედ გიმნაზია და უნივერსიტეტი შეიქმნა სალოცველ ხატად და მის-

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 21 ამ დეკემბერს მ. ს. არამიანცის პავილიონში იხსნება ერთი განყოფილება მხოლოდ შინაგან სნეულებით ავადმყოფ მამაკაცთათვის. სხვა განყოფილებათა—ქირურგიულ და ქალთა თერაპევტიულის—გახსნის შესახებ ახლო მომავალში იქნება გამოცხადებული.

ექიმობისათვის საზოგადო პალატებში დაწესებულია 15 მანეთი თვეში, ხოლო იმათთვის, ვისაც ცალკე სურს, განსაკუთრებული ფასია. ღარიბები განთავისუფლებულნი იქნებიან ფასისაგან ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებულ წესების თანახმად. (3—6.—2)

---

კაზმული მწერლობა—მხატვრობა—მუსიკა—თეატრი.

## „ფასკუნჯი"

**სალიტერატურო—სამხატვრო ჟურნალი 1910 წლის**

იანვრიდან გამოვა თვეში ერთხელ თვიური ჟურნალის სახით.

„ფასკუნჯში" დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, პიესები; კრიტიკული და და ისტორიული წერილები კაზმული მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის და თეატრის შესახებ; ხელოვნების ქრონიკა, და

**◀ ს უ რ ა თ ე ბ ი ▶**

ფერადი და ფოტოტიპიური ერთფერი.

„ფასკუნჯი" განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქართული ხელოვნების ნამთებს.

გარდა ჟურნალისა ყოველს ხელის-მომწერს, რომელიც მთლად გადაიხდის წლიურს ფასს, საჩუქრად მიეცემა.

**◀ შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს ▶**

დიდი ფერადი სურათი (11—8 ვერშ. ზომით)

„ფასკუნჯში" მონაწილეობას იღებენ: აკაკი, კ. აბაშიძე, შ. არაგვისპირელი, განდეგილი, ი. გომართელი, ი. ევდოშვილი, ან. ერისთავი-ხოშტარია, დუტუ-მეგრელი, ს. მგალობლიშვილი, დ. ლუკაშვილი, კ. მაღალაშვილი, ნ. ლომაური, ნ. ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ი. ნიკოლაძე, თ. რაზიკაშვილი, გრ. რობაქიძე. ა. სარაჯიშვილი, სიტყვა, ზ. ფალიაშვილი, ი. ფანცხავა, ალ. ხახანაშვილი, ვ. შალიკაშვილი, ალ. შანშიაშვილი, ტ. შევარდენაძე, კ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე და სხვ.

ჟურნალის სამეურნეო ნაწილის (ბეჭდვა, დასურათება და სხ.) გამგენი არიან: კ. მესხიშვილის ლიტოგრაფია და „სორაპნის" სტამბა.

ჟურნალის ფასი; წლით 5 მან., 6 თვით 3 მან. წლიური ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: თავში 2 მან., მაისში 2 მ. და სექტემბერში 1 მან.

ჟურნალი ნომრობით არ გაიყიდება.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში: კ. მესხიშვილთან, სორაპნის სტამბაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. პროვინციაში აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапани".

(6—1) რედაქტორ-გამომცემელი ს. ფირცხალავა.

წრაფების უპირველეს საგნად ყოველ ქართველისათვის. გიმნაზია და განსაკუთრებით უნივერსიტეტი ისეთ საჭირო და აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა ქართველის წარმოდგენაში, რომ დღეს საშუალო მდგომარეობის ქართველს სირცხვილადაც კი მიაჩნია, თუ თავის შვილებს, ან თვითონ ან სხვისი დახმარებით, სწავლა ვერ მიაღებინა უნივერსიტეტში. და, ჩვენის აზრით, სწორედ ეს მოვლენა არის ქართველობის თვისებურ სულიერ განწყობილების გამომჟღავნებელი და ჩვენ მიერ ახლანდელ სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნილებათა შეუგნებლობის მაჩვენებელი.

აბა დააკვირდით: წარსულ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მაინც სრულიად ცხადი შეიქმნა, რომ სამეურნეო ასპარეზზე ძველის წესით საქმიანობა თანამედროვე აღებმიცემობის ხანას აღარ შეეფერებოდა. აუცილებელი იყო შესაფერის ცოდნითა და გამოცდილებით შევიარაღებულიყავით, რათა ცხოვრებაში რეალური ნიადაგი დაგვეჭირა. ამ შემთხვევაში შესაფერი ცოდნა და სწავლა-განათლება შეიქმნებოდა ნამდვილი იარაღი როგორც საერთოდ ხალხის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ისე თითოეულ „ნასწავლ" ქართველისათვის დაბალ სოციალურ საფეხურიდან უფრო მაღალში გადასასვლელად, ვინაიდან ახლანდელ დროში სოციალური დაწინაურება გვარიშვილობასთან კი აღარ არის დაკავშირებული,—ქონებრივს შეძლებასა და ეკონომიურს წარმატებაზეა დამყარებული.

მაგრამ, საუბედუროდ, ამისათვის ჩვენ არ დაგვირჩა არც შეგნება და არც საჭირო სულიერი მიდრეკილება. სასოფლო მეურნეობის შესწავლა, ტეხნიკური ცოდნა, საკომერციო განათლება და საზოგადოდ პრაქტიკული სწავლა მხოლოდ იმისთვის არის გამოსაყენებელი, ვისაც დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობისადმი შინაგანი მისწრაფება და ხალისი აქვს, ვისაც საკუთარის თაოსნობისა, ენერგიისა და ხასიათის სიმტკიცის იმედი მოეპოვება. ჩვენ კი სწორედ ეს გვაკლდა და გვაკლია დღესაც. ამიტომაც ქართველობა მარტოოდენ იმ გვარ სასწავლებლებს მიაწყდა, სადაც ჩინოვნიკობის უფლების მოპოვება შეიძლებოდა.

ჩინოვნიკობას იმიტომაც ეტანებოდა და ეტანება არა თავად-ზნაური, რომ იგი გადაიქცა „საშუალებად სოციალურ კიბის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად".

რადგან თავის-თავად გვარიშვილობას რეალური ღირებულობა დაეკარგა და მხოლოდ ჩინი და ჩინოვნიკური ხარისხი გახდა საშუალება საზოგადოებაში პატივისა და გავლენის მოსაპოებლად, ქართველობის არა თავად-აზნაურულ ელემენტებსაც „გზა გაეხსნათ" და, კლასიკურ განათლების სახით, შეძლება მიეცათ „დაბალ წოდებიდან" „მაღალს წრეში" გადასასვლელად. ქართველ გლეხს, ვაჭარს, ხელოსანს, მრეწველს მღვდელს დღესაც სახელოდ მიაჩნია, რომ მისი შვილი სადმე სახელმწიფო დაწესებულებაში მსახურებს და მოხელის უფლებით აღჭურვილი არის. სასწავლებლის დიპლომი, ჩინი და სამსახური მას უთანასწორებს სამსახურისავე დიდ-გვარიშვილის კაცთანაც, ხოლო არა სამსახურის ხალხის წინაშე მისი უპირატესობა ხომ ყველასთვის ცხადია და საგრძნობელიც. დღესაც უბრალო სოფლის მწერალს ხელში უპყრავს მთელი სოფლის საზოგადოება და აბა რა გასაკვირია, რომ ასეთ გარემოებაში ხალხის შემეცნება დიდად აფასებდეს ცოტა უფრო მოზრდილ თანამდებობის მოხელის სამსახურსა და საქმიანობას.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშ. სააგენტოსაგან
20—21 დეკემბერი.

### საზღვარ-გარედ

**ათინა**. სამხედრო დელეგაციის თეოტოკისს და რალლისს სამხედრო წერილი გადასცა. სამხედრო ლიგა თხოულობს, რომ სამხედრო და საფინანსო რეფორმები რაც შეიძლება ჩქარა განხორციელდნენ.

**ათინა**. თეოტოკისმა და რალლიმ სამხედრო ლიგას შეატყობინეს: დეპუტატთა პალატამ უკვე 163 კანონ-პროექტი განიხილა და მიიღო. ჩვენი პარტია შემდეგშიაც მხარს დაუჭერს იმ კანონ-პროექტებს, რომლებსაც მთავრობა საჯაროდ იცნობს.

**ლონდონი**. „ტაიმსს" პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ: მიმდინარე წელს სადამოჟნო შემოსავალი წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტია. ამ წელს ჩინეთის ვაჭრობას აღორძინება ეტყობა.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი**. ქალაქში განცხადებაა გაკრული: რახიმ-ხანი გარდაიცვალა. ეფრემმა დაიპყრო ჰგარა და ყარაზაგი.

### ჰაერში ფრენა

**ბერლინი**. ორჯერ გაფრინდა ახალი სამხედრო დირიჟაბლი „მესამე გროსსი". დირიჟაბლი „მესამე გროსსი" ჰაერში საათ ნახევარი დარჩა.

### რ უ ს ე თ ი

**ვოლოგდა**. რეალურ სასწავლებლის დირექტორის სადგომის შესავალში ყუმბარა აფეთქდა. არავინ დაშავებულა. დაიმტვრა სახლის ფანჯრები.

**ოდესსა**. სამი შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა ქიმიურ ნივთიერებათა ქარხანას. ბოროტ განმზრახველებმა გაიტაცეს 1400 მანეთი და მიიმალნენ.

**ჩელიაბინსკი**. პოლიციამ იპოვა ამას წინად ჩელიაბინის საკრედიტო საზოგადოებიდან მოპარული ფულის ყუთი, ვექსილები, ფასიანი ქაღალდები და სხვა და სხვა დოკუმენტები.

**სემიპალატინსკი**. დიდის ამბით გაიხსნა სასამართლოს სხდომა, რომელშიაც პირველად მონაწილეობა მიიღეს ნაფიცმა მსაჯულებმა.

**პეტერბურგი**. საერო განათლების მინისტრმა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს ბრძანება დაუგზავნა, მომავალ სამოსწავლო წლიდან სემინარიის კურს დამთავრებულებს უნივერსიტეტში შესვლის დროს მოსთხოვეთ, რომ წარმოადგინონ მოწმობები დამატებით ეგზამენების ჩაბარების შესახებ, სემინარიის კურს დამთავრებულებმა დამატებით ეგზამენები უნდა ჩააბარონ შემდეგ საგნებში: მათემატიკაში, ფიზიკაში გერმანულსა და ფრანგულ ენებში. დამატებით ეგზამენების ჩაბარება შეიძლება როგორც გიმნაზიებში, ისე სამოსწავლო ოლქში.

**იალტა**. მშვენიერი დარია. ჰყვავის ვარდი.

**პეტერბურგი**. ოლქის სასამართლომ გაარჩია გაზეთ „სტრანას" რედაქტორის მაქსიმ კოვალევსკის საქმე. ბრალდებოდა გაზეთში ჯარის შეურაცყოფა და მთავრობის მოქმედების შესახებ ყალბი ცნობების გავრცელება. სასამართლომ კოვალევსკის ორი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი**. გრადონაჩალნიკმა პოლიციელად ნამყოფ პალეევს პოლკოვნიკის კარპოვის მკვლელის დაჭერისათვის 300 მანეთი აჩუქა.

**ასტრახანი**. ყირგიზთა ურდოში შავი ჭირი გაჩნდა. ავად გახდა 14, გარდაიცვალა 4 კაცი.

**პეტერბურგი**. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორმა ფინლიანდიის ყველა გუბერნატორებს ბრძანება დაუგზავნა, მოხსენებებში ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევთ პოლიტიკურ პარტიების, კავშირების და საზოგადოებების კრებებს და დადგენილებებს. შემდეგში შესაფერი ყურადღება მიაქციეთ ამნაირ მოვლენებსო.

**კოკანდი**. დაიწვა ადგილობრივ მკვიდრთა ბაზარის ნახევარი. ზარალი დიდია.

**ვარშავა**. ოლქის სასამართლომ გაარჩია 24 კაცის საქმე. ბრალდებოდათ 1906 წელს ბლონსკის მაზრაში კათოლიკებზე თავდასხმა და რამდენიმე კაცის დაჭრა. სასამართლომ გამართლა 11 კაცი, სხვა და სხვა ვადით დაპატიმრება მიუსაჯა 13 კაცს.

**ვილნო**. დაიწვა პეტერბურგის კერძო კომერციულ ბანკის განყოფილება და ზალკინდის სავაჭრო სახლი. ფული და დოკუმენტები გადაარჩინეს.

**პეტერბურგი**. დღე-ღამეში ხოლერით ავად აღარავინ გამხდარა. ავად არის 20 კაცი.

**მოსკოვი**. დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი. არავინ გარდაცვლილა.

**ბაქო**. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 1 კაცი.

**ეკატერინოსლავი**. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 4 კაცი.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ **სამღვდელოება და საეკლესიო შენობა**. რადგან ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრების განსახილველ საქმეთა სიაში არ იყო შეტანილი საკითხი სემინარიის ძველ შენობის შესახებ (პუშკინის ქუჩაზე), კრებამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ეგზარხოსის მოადგილის წინაშე, ნება მიეცა ამ საგანზე მსჯელობისა. როგორც მკითხველებმა იციან, სინოდმა, ქართველ სამღვდელოების დაუკითხავად, რომელსაც შენობა ეკუთვნის, დაავალა სემინარიის გამგეობას შენობა ან გაყიდოს ან იჯარით გასცეს და შემოსული ფულით შეავსონ ის თანხა, რომელიც სემინარიის ახალ შენობის აგებაზე დაიხარჯა. შუამდგომლობაზე ეპისკოპოსმა გრიგოლმა უარი განაცხადა. დეპუტატებს აზრადა აქვთ, მოუცადონ ახალ ეგზარხოსის ჩამოსვლას და მასთან აღსძრან საკითხი, რომ შენობა სამღვდელოებას გადაეცეს.

◆ **საავადმყოფოს გახსნა**. 20 დეკემბერს ტფ. ქალაქის გამგეობამ გახსნა ქალაქის საავადმყოფოთა პირველი პავილიონი, რომლის აშენებაში ქალაქს 100,000 მანეთით დაეხმარა ბ-ნი არამიანცი. ავადმყოფები კიდეც მიიღეს—ორი კაცი. საავადმყოფოს გახსნას დაესწრნენ ქალაქის თავის მოადგილე, გამგეობის წევრნი, სატეხნიკო საამშენებლო კომისია, ხმოსნები, ქალაქის ექიმები და სხვანი. პავილიონის გახსნას დაესწრო აგრეთვე ბ-ნი არამიანცი, რომელსაც ტაშისცემით მიეგებნენ დამსწრენი. გარდა იმ 100,000 მან., რომელიც გაიღო ბ-ნ არამიანცმა, ქალაქმა დახარჯა შენობაზე 60,000 მანეთი, ხოლო ყოველ წლობით ქალაქს საავადმყოფოს შენახვა დაუჯდება 65,000 მან. ჩვეულებისამებრ ბ-ნმა ა. ხატისოვმა სიტყვა წარმოსთქვა და მადლობა გადაუხადა შემწირველს და ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ შენობის აგების საქმეში. დამსწრენი ჩაიზე მიიწვიეს. ოფიციალურად საავადმყოფოს გახსნიან 1 იანვარს. ოფიციალურ გახსნაზე მიიწვევენ გუბერნატორს და ადმინისტრატიულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს.

◆ **გასამართლება**. დეპეშათა სააგენტო იუწყება: ვლადივასტოკში ოლქის სასამართლომ გაარჩია 7 კაცის საქმე. ბრალდებულები ქართველები არიან. ჰბრალდებოდათ რუსეთ ჩინეთის ბანკიდან 106,800 მანეთის გატაცება. სასამართლომ ბრალდებულთ სხვა და სხვა ვადით ტუსაღთა განყოფილება გადაუწყვიტა.

◆ **გადასახლება**. „ბაკუ"-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: ამ ორი-სამი თვის წინად დააპატიმრეს პეტერბურგის ქალთა ინსტიტუტის მსმენელი ქალი მარიამ უგრელიძე. მარიამ უგრელიძე 1907 წელსაც იყო დაპატიმრებული. ჰბრალდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო იდეების გავრცელება. სამხედრო სასამართლომ იგი გაამართლა, მაგრამ ეხლა იმავე საქმეზე მეორედ დააპატიმრეს და არხანგელსკის გუბერნიაში გადასახლება მიუსაჯეს. ინსტიტუტის დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის წინაშე, უგრელიძეს განთავისუფლების შესახებ. ეხლა უგრელიძეს განთავისუფლებას სცდილობს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი. მან სტოლიპინი ნახა და ყველაფერი უამბო.

◆ **ავადმყოფი**. ექიმი გორაბი პეტერბურგიდან ატყობინებს ტფ. ქალაქის თავის მოადგილეს, რომ ქალაქის თავის ავადმყოფ ვ. ნ. ჩერქეზიშვილისათვის უკვე დამზადებულია შესაფერი ბინა პროფესორ ფეოდოროვის საავადმყოფოში და პროფესორი ფეოდოროვი ექიმობას შეუდგება 28 დეკემბრსა.

◆ **საყურადღებო გამოცემა**. ბ-ნ [illegible] რედაქტორობით პეტერბურგში 1910 წლიდან გამოვა ყოველ-კვირეული ახალი ჟურნალი „Жизнь Кавказа", ამ ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის, ქართველი და სომეხი მწერლები. ტფილისში უკვე დაარსდა განყოფილება აღნიშნულ რედაქციისა. განყოფილებას დავალებული აქვს ჩვენის ქვეყნის შესახები მასალა მიიღოს, გაუკეთოს რედაქცია და იქ ჰგზავნოს ჟურნალში დასაბეჭდად.

◆ **წარმომადგენელი**. ამიერ-კავკასიის საბეთალო საზოგადოება თავის წარმომადგენლად სრულიად რუსეთის მეორე საბეთლო კრებაზე ჰგზავნის შ. დედაბრიშვილს.

◆ **სამხატვრო გალერეია**. მექანდაკემ ბ-ნმა მიქაელიანმა წინადადება შეიტანა ტფ. ქალაქის გამგეობაში, გამართოს ტფილისში სამხატვრო გალერეია და ყოველ წლიწადს გადასდოს ხოლმე მცირე რამ სამხატვრო ნაწარმოებთა შესაძენად.

◆ **სამღვდელოების კრება**. კვირას, 20 დეკემბერს, საღამოთი დასრულდა ტფილისში სამღვდელოების კრება. ხვალ გავაცნობთ მკითხველებს, რა გააკეთა კრებამ.

◆ **ექსკურსია**. 27 დეკემბერს ტფ. სამასწავლებლო ინსტიტუტის უკანასკნელ კლასის მოწაფენი, რიცხვით 35 კაცი, მიემგზავრებიან ბაქოში ბალახანა საბუნჩის, სურახანის და შავი ქალაქის დასათვალიერებლად. დაბრუნდებიან 30 დეკემბერს.

◆ **მისალოცი დეპეშები**. ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ წინა წლების მსგავსად, წელსაც 20 დეკემბრიდან ფოსტაში იღებენ მისალოც საშობაო და საახალწლო დეპეშებს. ასეთ დეპეშებს უნდ დაეწეროს რუსულად „საშობაო" ან „საახალწლო" ამ გვარი დეპეშები, ადრევე მიღებული, გაეგზავნება საშობაო 25 დეკემბერს დილის 8 საათ., ხოლო საახალწლო 1 იანვარს დილის 8 საათზე.

◆ **ფორმის ტანისამოსი**. ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის მოხელეებს, თვალყური ადევნონ და სასტიკად აუკრძალონ პოლიციიდან გასულ მოხელეებს ფორმის ტანისამოსის ტარება. პასუხის გებაში იქნება მიცემული, სხვათა შორის, ის ბოქაულიც, რომლის ნა-

---

# სარდაფში კი ემინათ...

(შემდეგი *)

დიდ ხანს იჯდა პეტრე უძრავად. თავში არა ჩვეულებრივ სიმძიმეს გრძნობდა. ჩიბუხს გაუმაძღრად აბოლებდა და ბოლის ბექდების მოძრაობას თვალს ადევნებდა. ბოლოს წამოდგა, საკუჭნაოდან შავი პურის ყუა და ჭიქა ამოიღო, ტახტის ქვეშიდან არაყით სავსე ბოთლი გამოაძვრინა და სკამზე ჩამოჯდა.

— მე რომ არაყს არა ვსვამდე, ალბად ჭკუაზე შევცდებოდი... ჯავრს ვერ ავიტანდი და... რა კარგია არაყი!..—გაიფიქრა პეტრემ, სავსე ჭიქა რომ დასცალა და ტანში სითბო იგრძნო.

— ა... ა... ა... მიუჯდა ისევ არაყს! კაცო, ხომ არ გაგიჟდი... რა დროს არაყია!..—ახმაურდა ნატო და ქმარს ზიზღით შეხედა.

— დამანებე, ნატო, თავი, თუ ღმერთი გრწამდეს, თორემ ბიჭიკოს სულს გეფიცები, ცუდს რასმეს ჩავიდენ: მდინარეში გადავიჩეხებ... თავს ჩამოვიხრჩობ! ადამიანო, არაყს იმიტომ ვსვამ, რომ შეიძლება ეს ფიქრები მოვიშორო, მძიმე ლოდივით რომ მაწვება გულზე.. არა, თუ არ უწამლე, ეს ფიქრები თავდავიწყებამდის მიმიყვანს...—ხელი ჩაიქნია პეტრემ და ჭიქა ხელმეორედ დასცალა.

— სვი, რამდენიც გენებოს, გაილეშე შენებურად... მე კი... ჩემო შვილო, ჩემო ბიჭიკო!..—აქვითინდა ნატო. ხელსახოცის ყურით ცრემლები მოიწმინდა.

პეტრემ ჩიბუხი აუკიდა და ჭიქა მესამედ დასცალა. ქუჩაში ეტლმა გაარახუნა. სადღაც შორს ღამის დარაჯმა დაუსტვინა.

— პეტრე, ა, პეტრე!—მოისმა კარებში ვიღაცის ბოხი ხმა.

— ვინა ხართ?—გამოეხმაურა პეტრე.

— ჩვენა ვართ, გაიოზი და ზაქრო... შეიძლება შემოვიდეთ?

პეტრემ მაშინვე წარმოიდგინა კლდესავით მაგარი აგებულობის, წელში ოდნავ მოხრილი ქვის ოსტატი გაიოზი და მისი შეგირდი,—ახალგაზდა და მხიარული ზაქრო.

— რა კარგია, რომ მოვიდნენ!—თითქმის ხმა-მაღლა ჩაილაპარაკა პეტრემ და კარი გააღო.

კარებში გამოჩნდა ახოვანის მოყვანილობის გაიოზი, რომელსაც ფეხ-და-ფეხ ულვაშებ ამწვანებული ზაქრო შემოჰყვა. სტუმრებმა ოთახში შესვლისთანავე ქუდები მოიხადეს, მიცვალებულს მიუახლოვდნენ და პირჯვარი გამოისახეს.

— ჩემო შვილო, ჩემო ბიჭიკო!—აქვითინდა ნატო.

— მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა...—ჩაილაპარაკა გაიოზმა და აცრემლებულ თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა.

— მონაწილე ვარ!—წაიბუტბუტა გულ-აჩუყებულმა ზაქრომ.

— ეჰ, ეჰ! ამოიხვნეშა პეტრემ და გაიოზს სკამი მიაწოდა.

— როდის გარდაიცვალა?—ნაღვლიანად იკითხა გაიოზმა და სკამზე ჩამოჯდა.

— ეჰ, ეჰ, ჩემო გაიოზ, ჯერა გვამი არც კი გაციებულა... სამუშაოდან რომ დავბრუნდი, ბავშვი გულ-წასული დამხვდა. მაშინვე წამლები მოვატანინე, მაგრამ... რად დგეხარ, კაცო, რატომ არ დაჯდები?—აღარა დაათავა პეტრემ და ზაქროს მიუბრუნდა. ზაქრომ ოთახს ახედ-ჩახედა და ჩუმად გაიოზის მახლობლად ჩამოჯდა.

— საწყალი, რა ყოჩაღი ბავშვი იყო... ვინ იფიქრებდა თუ ასე უდროოდ მოეღებოდა ბოლო!..—სთქვა ცოტა სიჩუმის შემდეგ გაიოზმა და პაპიროსს მოუკიდა.

მართლაც რომ არ იყო ურიგო ბავშვი ჩემი ბიჭიკო, მაგრამ რა გაეწყობა... სიკვდილმა ავ-კარგიანობა არ იცის... ეხლა კი... ისევ და ისევ ღვინითა!..—აღელვებულის ხმით ჩაილაპარაკა პეტრემ და ჭიქა გაავსო.

— ჰერი, ჰა!.. ეს რა არის, კაცო, ისევ მიჰყავი ხელი სმას!?—

— დიახ, ჩემო გაიოზ... ვსვამ... ცხოვრება მაიძულებს და რა ვქნა, რომ არა დავლიო!..—როცა შევზარხოშდები და ტვინი შეხურდება, შეიძლება გულს ბინდ-ბუნდი მოშორდეს... იცი, გაიოზ, აქ, მკერდს ქვეშ, რაღაც საშიშრად მირახუნებს და არყით თუ არ ჩავკალი, სხვა არაფერი უშველის...

— ეგ, რა თქმა უნდა, მეც წარმოდგენილი მაქვს, მაგრამ სმასაც თავისი დრო აქვს... დღეს სმა კი...

— ე... ე... ე... ნუ შემელაპარაკები, თუ გიყვარდე!... გამეხარდა, რომ მოხვედი და იმედი მაქვს თანაგრძნობასაც გამიწევ... აბა, ეს ბიჭიკოს სულის მოსახსენებელი იყოს! გააწყვეტინა პეტრემ და გაიოზს ჭიქა მიაწოდა...

— ღმერთმა საუკუნე ნეტარება მიანიჭოს ბიჭიკოს სულს.. გამარჯვება მისცეს ამ ოჯახს და შემდეგში განსაცდელი ააშოროს!—დაილოცა გაიოზმა და ჭიქა დასცალა.

— ამინ!—მოისმა პასუხად.

— აბა, ზაქრო, გადაჰკარი შენებურად!—მიუბრუნდა პეტრე ზაქროს და ჭიქა გაუვსო.

— საუკუნო ნეტარება მიანიჭოს! —ჩაილაპარაკა ზაქრომ, დაცლილი ჭიქა დასდგა და პურის გულს უსუნა.

ამინ!—უპასუხა გაიოზმა.

შეუდგნენ სმას. ჭიქას მადიანად სცლიდნენ, გულ-ჩათხრობილად ბაასობდნენ და განზე აფურთხებდნენ. მალე კიდევაც შეზარხოშდნენ.

— ჯავრი ნუ გაქვთ, ამხანაგებო, არაყი კიდევ გვეშოვება!—სთქვა ჭარხალივით გაწითლებულმა პეტრემ, ბოთლი რომ დაიცალა, გულის-პირი გაიხსნა და ტახტის ქვეშიდან სავსე ბოთლი გამოიღო.

— შენ, ჩემო ძმაო, ტახტის ქვეშ არყის საწყობი ჰქონია!—ღიმილით სთქვა გაიოზმა და ცხვირის ნესტოებიდან თამბაქოს ბოლი გამოუშვა.

— საწყობისა რა მოგახსენო, მაგრამ არაყზე კი უკაცრავად არ დავრჩებით... დაგვიანებული რომ არ იყოს, კუპატებს ვიყიდდი და უფრო მადიანად ვისაუზმებდით. უპასუხა პეტრემ და ბოთლს ხელის დაკვრით საცობი ამოაცალა.

— ხომ არა ხუმრობ, პეტრე, რა დროს კუპატია... ის კი არა, არაყსაც რომ მივანებოთ თავი, უმჯობესი იქნება...—სთქვა გაიოზმა.

— ნება თქვენია, ბატონებო, ძალას ვერავის დავატან...—დაეთანხმა პეტრე.

— იქნება, ნატო მიირთმევდა ცოტას...—სთქვა ზაქარომ და ოფლი მოიწმინდა.

— ნატო, შეიძლება მიირთვათ არაყი?—დაეკითხა ნატოს გაიოზი და ჭიქა მიაწოდა.

— არ მინდა!—მოისმა პასუხად ნატოს სუსტი ხმა.

— დაანებეთ თავი, თუ ღმერთი გრწამთ! ის კი არა, ნატო მე მისაყვედურებს, რომ ვსვამ.

— ბოდიშს ვიხდი.—სთქვა გაიოზმა და ჭიქა დასდგა.

სიჩუმე ჩამოვარდა. პეტრემ ჩიბუხი დაბერტყა და ზურგით კედელს მიეყრდნო. გაიოზმა ჩაახველა და ცხვირს დააცემინა.

— არ შეიძლება ვიმღეროთ რამე?—დაარღვია სიჩუმე ზაქრომ.

— ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო, რა დროს სიმღერაა!—შეუტია გაიოზმა.

ზაქროს შერცხვა და თავი ძირს ჩაჰკიდა.

— რა თქმა უნდა მიცვალებულის მახლობლად სიმღერა შეუძლებელია, მაგრამ სამხთო კანონიდან რომ ვიგალობოთ რაიმე, ვფიქრობ არ დაგვეძრახება!—სთქვა პეტრემ.

— ჩემის აზრით ამნაირი გალობა არა თუ დასაძრახი, შესაფერიცაა!—დაეთანხმა გაიოზი.

— მაშ, თუ აგრეა, ბარემ ვიგალობოთ!—ჩაილაპარაკა პეტრემ და ცოლს მიუბრუნდა:—აბა, ნატო, წმინდა სანთელი აანთე მალე!

ნატო ჩუმად წამოდგა, სკივრიდან სანთელი ამოიღო და წუმწუმას გაჰკრა. სანთლის ანთებისთანავე პეტრე წამოდგა, მიცვალებულთან გაჩერდა და პირჯვარი გამოისახა. პეტრეს მიჰბაძეს გაიოზმა და ზაქრომ.

— აბა, ზაქრო, დაიწყე „სულთათანა"!—სთქვა გაიოზმა და ჩაახველა.

ზაქრო გასწორდა, თვალები ერთს წერტილს მიაშტერა და დაბალის ხმით დაიწყო: „სულთათანა აღსრულებულსა მართალთასა. „სულთათანა"—მისძახა პეტრემ. „სულსა მონისა შენისასა!—გააპო ჰაერი გაიოზის ბოხმა ხმამ. საუცხოვოდ შეთანხმებული სამგლოვიარო ჰანგები თაფლივით დაიკეცა და მწვანე ბოლით გაჟღენთილი ჰაერი აავსო. „სადა ყოველნი წმიდანი შენნი მკვიდრ არიან".—ჩქარობდა ზაქრო „სადა ყოველნი"...—ხმას უთანხმებდნენ გაიოზი და პეტრე. გალობა დიდ ხანს გაგრძელდა... მგალობლებს დაღლილობა დაეტყოთ, ხმა არ ემორჩილებოდათ და ოფლს იწმენდავდნენ.

— ოჰ დავანებოთ თავი!—სთქვა ბოლოს თავ-ბრუ დახვეულმა პეტრემ და არაყს მიუჯდა.

გაიოზი და პეტრეც ჩამოჯდნენ.

— ეს ცხოვრების უკულმართობისათვის!—ჩაილაპარაკა ცოტა სიჩუმის შემდეგ პეტრემ და ჭიქა დასცალა.

*) იხ. „დროება" N 284.

წილშიაც აღმოჩნდა უკანონოდ ფორმის მატარებელი ყოფილი პოლიციელი.

✦ **სწავლა დამთავრებულნი.** 12 დეკემბერს დამთავრდა სახელმწიფო ეგზემენები ოდესის უნივერსიტეტის საექიმო და იურიდიულ ფაკულტეტებზე. საექიმო ფაკულტეტი დამთავრა 58 კაცმა. აქედან ქართველი ხუთია. გრიგორიაშვილი გიორგი, დათოშვილი ივანე, ქუთათელაძე ნიკოლოზ, მახვილაძე ა., ფალიაშვილი ანტონ, იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა 35 კაცმა. ქართველი ერთია. ქეიშვილი მელიტონ.

✦ **წყლის შემოწმება.** ტფ. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის საქიმიო ლაბარატორიას შეამოწმოს ავლაბრის ტბის წყალი იმის გამოსარკვევად, ივარგებს იგი თუ არა სასმელად. როგორც შევიტყვეთ, ამ ტბის წყალს ზოგნი სასმელად ხმარობენ.

✦ 19 დეკემბერს ავჭალის სახალხო აუდიტორიაში კუკიის მეორე ქალაქის სკოლის მასწავლებელთათვის კითხვები გამართეს ქ-ნთ ე. ელიავამ და ე. ასათიანმა.

✦ ტფილისში 18 დეკემბერს შემდეგი ამბები მოხდა: ვაჭარ ქალის ანნა ხრუსტალევისთვის სახლიდან, სოლომონოვის ქუჩაზე, ქურდებს გაუტანიათ 200 მან. ნივთები, ეჭვი ხრუსტალევისას მიუტანია მეზობლებზე: გიორგი და დარია ოაზმაძეებზე. ყველანი დააპატიმრეს. მათ აღმოაჩნდათ ერთი ნაწილი მოპარულ ნივთებისა. პოლიციამ ალავერდის ქუჩაზე გიორგი პაატაშვილის დუქნის სარდაფში აღმოაჩინა საიდუმლო სასხლო თავის მოწყობილობით. პაატაშვილი პასუხის გებაში მისცეს. „სამანის“ მოედანზე დააპატიმრეს მიხეილ სიმადუროვი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა. დააპატიმრეს ზაქარია ნიკოლაძე და ალექსანდრე ლომიძე ნივთების მოპარვისათვის. სოხუმის მცხოვრები გიორგი მუთოლლისთვის გიორგი ბარხუდაროვს ამოუცლია 15 მან. ბარხუდაროვი დააპატიმრეს. მადათოვის კუნძულზე ელექტრონის ვაგონმა ქვეშ მოიტანა მასწავლებელი ქალი ავრემია იაროშჩინსკაია (48 წ.) და მარცხენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული საავადმყოფოში გაჰგზავნეს. პოლიციამ დააპატიმრა არუთინ სახრონ-ოღლი და ზორთამა ამო-ოღლი, რომელთაც დაბრალდათ 148 მანეთის ნივთების მოპარვა ალავიძისა და ამხანაგების ბუფეტიდან, გოლოვინის პროსპექტზე. ჩხრეკის დროს პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს 2 უპასპორტო კაცი.

✦ უდელნი ქუჩაზე მცხოვრებ ქვრივის ეფროსინე მაქსიუდოვის პატარა ბავშვი ალექსანდრე ამ დღეებში სახლიდან გასულა და სადღაც დაკარგულა. პოლიცმეისტერმა დაავალა პოლიციელებს შეუდგნენ ბავშვის ძებნას.

✦ 18—20 დეკემბერს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა. 18 დეკემბერს ტფილისელმა ვაჭრმა გიორგი აპრიკოვმა პოლიციას განუცხადა: ჩემი მაღაზიიდან საქონელი იკარგება და ეჭვი ამ ქურდობაში მაქვს სარქის ბაღდასაროვზე, რომელიც წინად ჩემთან მსახურებდაო. ბაღდასაროვი დააპატიმრეს, გაჩხრეკის დროს ჯიბეში აღმოაჩნდა 12 ფრაქის კოვზი. ვლადიმიროვსკის ქუჩაზე მცხოვრებას ანნა ხეჩატუროვისას დაჰკარგვია 9 ქათამი და 1 ინდაური, ხეჩატუროვისამ ბრალი ქურდობაში დასდო რუსელ გლეხს ალექსანდრე არაბაშვილს რომელიც პასუხის გებაში მისცეს. დააპატიმრეს 19 დეკემბერს რკინის გზის საქონლის მატარებლების კონდუქტორები ტიმოთე ისაევი და მიხეილ გოროვი, რომელთაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ სახლში სადღაც მოპარული 3 ფუთი სპილენძი. კონდუქტორები პასუხის გებაში მისცეს. 20 დეკემბერს დააპატიმრეს ძმები დავით და იოსებ ბერიძეები, რომელნიც საგენერალ გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა.

# ქუთაისის ავ-კარგი

ქართული პედაგოგიური ლიტერატურა ღარიბია საზოგადოდ. ღარიბია სახელმძღვანელოებით და ბავშვთათვის საკითხავ წიგნებით. ბავშვები, რომელთაც თავდაპირველად ეღვიძებათ წყურვილი თავიანთ ხანის შესაფერ მოთხრობებისა და ზღაპრების მოსმენა-წაკითხვისა, მოკლებულნი არიან ყოველგვარ საზრდოს. ბევრის მშობლისაგან გამიგონია, რომ ყველგან ვიკითხე ჩემი 5—6 წლის ბავშვისათვის შესაფერი წიგნი, მაგრამ ვერსად ვიშოვე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვილაც სომხის მიერ გამოცემულ ნახატებიან ზღაპრებს, რომელიც ენის მხრით ცუდად მოისუსტებსო. ეს გოდება სამართლიანია და ამიტომ ჩვენი პედაგოგები, წიგნების გამომცემელი ამხანაგობანი და წერა-კითხვის საზოგადოება ვალდებულნი არიან მიაქციონ ამ ნაკლს ყურადღება და მომწიფებული საჭიროება დააკმაყოფილონ.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან სასკოლო ასაკის ბავშვები, რომელთათვისაც, გარდა უკვე ცნობილი სახელმძღვანელოების, არსებობს საყმაწვილო ჟურნალები, სკოლასა და ოჯახში საკითხავი წიგნები და სხვა. ამ წიგნთა შორის უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ბ-ნთ ოცხელის, ყიფიანის და მთავრიშვილის მიერ შედგენილმა „ბუთანმა“, რომლის პირველი გამოცემა უკვე გაყიდულა და ავტორები შესდგომიან კიდეც მეორე გამოცემის ცდას. ეჭვი არ არის, ავტორები ეცდებიან თავიანთ და სხვათა მიერ შენიშნულ შეცდომის გასწორებას და მეორე გამოცემა უკეთესის სახით გავრცელდება ხალხში. სასურველია, „ბუთნის“ ავტორებმა შეავსონ უმთავრესი ნაკლი ამ წიგნისა და ტექსტში სურათები ჩაურთონ. ამასთან მკითხველის საყურადღებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ბუთანი“ 24 ნოემბერს განუხილავს სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან არსებულ საბჭოს და საჭიროდ უცვნია, რომ ეს წიგნი სახმარებლად იქნას მიღებული ყველა იმ სასწავლებელში, სადაც ქართულ ენას ასწავლიან.

* * *

თუმცა ზოგიერთებს დიდი სურვილი ჰქონდათ, თავად-აზნაურთა კრება დიდი ხნით გადადებულიყო, მაგრამ ანგარიში არ გაუმართლდათ. დეპუტატთა საკრებულოს მოსვლია ნამესტნიკის მოწერილობა, რომ ჩვეულობრივი კრება მოწვეულ იქნას არა უგვიანეს მომავალ თებერვლისა. არჩევნებისა და კრებების სეზონს ამ ნაირად წლეულს გახსნის თავად-აზნაურობა, რომელიც, ეჭვი არ არის, გარდა არჩევნებისა, ყურადღებას მიაქცევს მიმდინარე საქმეებს. უმთავრესი ამათთაგანი სკოლის შენობის აგებაა. შენობა უკვე გადახურულია და ეხლა იქ მუშაობაა გაჩაღებული. ამშენებელნი იმ აზრისანი არიან, რომ ქართული გიმნაზია მერმის შემოდგომაზე შესძლებს თავის შენობაში გადასვლას. ეს კარგი და პატიოსანი. მაგრამ უმთავრესი აქ ის არის, რომ სახლი არ დავალიანდეს, რათა ერთ მშვენიერ დღეს იგი ბანკის კერძად არ შეიქნეს. ამისათვის დიდი სიფრთხილე მართებს თავად-აზნაურობას, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე და საშუალება უნდა იხმაროს, რომ შენობა განსაცდელს ააცდინოს. 2—3 წლის წინად დაარსებული სტიპენდიები, რაც დრო გადის, მცირდება და უმაღლესად მოცემული ფული მალე განთავისუფლდება. სასურველია, ეს ფული შენობის ვალის დაფარვას მოხმარდეს. აქ ხმა დადის, ვითომ თავად-აზნაურობის ერთ წრეში ის აზრი ტრიალებდეს, რომ სადგილ-მამულო ბანკის ძირითადი თანხა, რომელიც თ.-აზნაურობას ეკუთვნის, შენობის ვალის დაფარვას მოხმარდეს. თუ ასეთ აზრს უმრავლესობა მიემხრობა კრებაზე, სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ასეთი აზრი სესხის აღებამდე არ დაიბადა, ვინაიდან ამ შემთხვევაში გირავნობის ფურცლის განაღდებაში აღარ მოხდებოდა ზარალი.

ვინც პირველად ქალაქ გორს შესწამა მატრაბაზობა ან დიდი უსამართლობა ჩაუდენია და ან არა სცოდნია, რომ ქვეყანაზე არსებობს მეორე ქალაქი, ქუთაისი, რომელსაც გორი მატრაბაზობაში ვერ გაუმკლავდება. განსაკუთრებულ ბეჯითობას იჩენენ ამ საქმეში ქუთათური ქართველი მოხელენი, მეტადრე სამსახურში დაწინაურებულნი და, რასაკვირველია, უკეთესის მომლოდინენი. ეს ვაჟბატონები იმდენად გატაცებულნი არიან კარიერით, რომ ყოველ ქართულ საქმეს ანაცვალებენ იმას, რომ თავიანთი თავი, ვისაც ჯერაარს, შეს ფერად აჩვენონ.

12 ამ თვეს სულ უბრალო საქმე უნდა მომხდარიყო—კლუბის დარბაზში უნდა შეკრებილიყო საზოგადოება იმისთვის, რომ თავისი წვლილი შეეტანა წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების კასაში საღამოზე დასწრებით. ყველაფერი მზად იყო, პროგრამაც შემუშავებული იყო და მრავალი ხალხი აპირებდა საღამოზე დასწრებას, მაგრამ წინა დღეს ასტყდა განგაში, რომელშიაც პირველ ხმებს, რასაკვირველია, ბობოლა მოხელენი ასრულებდნენ. როგორ შეიძლება, ბატონო, ეხლა მხიარულება, როცა ცა და ქვეყანა გვენგრევა თავზე, გადასდეთ საღამო, მერეც მოასწრებთ მის გამართვასო და სხვა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ძალით არავინ იყო შემოსილი და ეს ლაპარაკი მატრაბაზულის აზრით გაიპართა. ამ ბატონებს ავიწყდებოდათ რომ საღამოს გადადება 200—300 მანეთ ზარალს იწვევდა, მაგრამ მაინც ადვილად ისვროდნენ საყვედურებს—ან რა აკლდებოდათ! თუმცა იმითი საქმე არ წამხდარა, საღამომ წესიერად და კარგად ჩაიარა, მაგრამ მაინც აღსანიშნავია ეს საქმეები მოხელეებისა.

იგივე მოხელენი, როცა ერობაზე იყო თათბირი, კერძო ლაპარაკშიაც და თათბირის დროსაც კერძოთვე ცეცხლსა ჰყრიდნენ პირიდან: როგორ შეიძლება ერობის საქმეში პოლიციისა და მეურნეობისა შეერთება. მაგრამ მიდგა თუ არა საქმე საჯაროდ აზრის გამოთქმაზე, არც აცივეს და არც აცხელეს—თავიანთი აზრი ბ-ნ ნიკოლაძის პროექტს შეუერთეს.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ზემოდ მოყვანილ მატრაბაზობაში ბ-ნთ მოხელეებს დამქაშობას უწევდნენ ისეთიპირებიც, რომელნიც საზოგადო მოღვაწის სახელს ატარებენ, მაგრამ ამაზე შემდეგ.

**ზვარელი.**

# წერა-კითხვის საზოგადოების კრება

20 დეკემბერს დასრულდა წ.-კ. საზოგადოების წევრთა წლიური კრება. ამ დღესაც ბ-ნი გ. ნ. ყაზბეგი თავმჯდომარეობდა. როგორც წინა სხდომებზე, ისე ამ კრებას ბევრი ხალხი დაესწრო—დარბაზში ტევა აღარ იყო, მაგრამ საზოგადოების წევრი სულ სამოციოდე იყო.

მდივანმა წაიკითხა 13 დეკემბრის სხდომის ოქმი. ანგარიშის განხილვას, როგორც ვწერდით, კრებამ ორი დღე მოანდომა (6—13 დეკემბერი) და ამიტომ თავმჯდომარემ ამ დღეს გადასაწყვეტად დააყენა საკითხი ანგარიშის დამტკიცების შესახებ. ბ-ნმა კაჩუხოვმა სიტყვა მოითხოვა, შეეხო მაღაზიის დანაკლისს და სხვა საგნებს და გაიმეორა ის, რაც წინა სხდომაზე მრავალ ორატორისაგან ითქვა. დასასრულ განაცხადა, ვიდრე საქმეთა მთელი ვითარება არ გამორკვეულა, ანგარიშის დამტკიცება არ შეიძლება. ორატორმა ამ შინაარსის რეზოლიუციის პროექტი წარუდგინა კრებას. ბ-ნ კაჩუხოვს მხარი დაუჭირა ზოგიერთმა წევრმაც. მაგრამ კრებამ 36 ხმით 20 ხმის წინააღმდეგ დაამტკიცა ანგარიში. ამ რიგად, კრებამ დაადასტურა გამგეობის მოხსენება იმის შესახება, რომ ის 6,000 მან. რომელიც მაღაზიის დანაკლისს შეადგენს, ზარალად ჩაითვალოს.

შემდეგ კრებამ განიხილა საკითხი მუზეუმის შესახებ. კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება, რომელიც ჩვენ მკითხველებს უკვე გავაცანით. გამგეობა იმ აზრისა იყო, რომ 15,000 მანეთამდე გადადებულიყო ჭავჭავაძისეულ სახლის გადასაკეთებლად, რომ დროებით მოთავსებულიყო იქ მუზეუმი. გეგმაც შეუდგენია გამგეობას და საკმაო ფული ჰქონია. სარევიზიო კომისია ამ პროექტის წინააღმდეგი იყო. კომისია ურჩევდა კრებას სამუზეუმო და სხვა ფონდების შეერთებას და ამ ფულით ქალაქის შუა გულში განსაკუთრებულ შენობის აგებას. სარევიზიო კომისიის აზრის წინააღმდეგი არც გამგეობა იყო. მდივანმა წაიკითხა აზრი ბ-ნ იაკობ გოგებაშვილისაც, რომელსაც შეუძლებლად მიაჩნდა ჭავჭავაძისეულ სახლის გადაკეთება და მუზეუმის იქ გადატანა.

სამუზეუმო საკითხმა კრებაზე ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ყველანი თანახმანი იყვნენ მუზეუმის აგებისა და მოწყობისა. უთანხმოებას იწვევდა მხოლოდ ზოგიერთ ფონდების მოხმარება ამ საქმეზე.

**ბ-ნი ზედგინიძე.** შეიძლება ორი წლით გადაიდოს საკუთარ შენობის აგების საქმე და მანამდე საზოგადოებამ იზრუნოს ხელის მოწერით თანხის შეგროვებას. მართალია, მდიდრებმა ამ დიდ საქმისათვის ფული არ გამოიღეს, მაგრამ გულის გატეხა არ გვმართებს. ეხლა ღარიბებს მივმართოთ და დარწმუნებული ვარ, ამსაქმისთვის ფულს არავინ დაიშურებს.

**პ. ჭიჭინაძე.** რაკი მთავარმა გამგეობამ აზრი შეიცვალა მუზეუმის ჭავჭავაძისეულ სახლში გადატანაზე, მე სათქმელი აღარა მაქვს რა. მე წინააღმდეგი ვარ მხოლოდ ილიას ფონდის სამეურნეო ფონდთან შეერთებისა. როგორც ვიცით, ილიას სახელობაზე ფონდი იკრიბება საგანმანათლებლო აზრით და ეს ფული შენობაზე არ უნდა დავაბანდოთ. ჩვენთვის უფრო დასაჩქარებელია სკოლების გახსნა და სწავლა-აღზრდის საქმე.

**ქ. ქავთარაძე.** სასიამოვნოა, რომ მთავარმა გამგეობამ შეიცვალა აზრი ანდრეევის ქუჩაზე მუზეუმის გადატანის შესახებ. არ შეიძლება ისეთ დიდებულ რამის, როგორიც არის მუზეუმი, განაპირა ადგილას მოთავსება. 15,000 მანეთი არ უნდა დავხარჯოთ ისეთ შენობაზე, რომელსაც დროებითი მნიშვნელობა ექნება. ამ ნაციონალურ დაწესებულებისათვის, ჩემის აზრით, ქალაქის შუა გულში უნდა მოვნახოთ ადგილი. ამ საქმეში მთელმა ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა თანხის შესადგენად. მომხრე ვარ ბ-ნ ზედგინიძის აზრისა, ეხლავე [illegible] ხელის მოწერა [illegible] თანხის შე[illegible] [illegible] დებიც შე[illegible] [illegible] რდა მ[illegible] ვარ გამგეობას დაევალოს, მიმართოს ტფ. ქალაქის გამგეობას თხოვნით, რომ მან ქალაქის თვალსაჩინო ნაწილში ქართველთა ნაციონალურ დაწესებულებას დაუთმოს საკუთრებად შესაფერისი ადგილი. თუ ადგილი არ იქნება, ადგილის შესაძენად ფულით დაგვეხმაროს, ისე როგორც იგი სხვა ერების კულტურულ დაწესებულებებს დახმარებია.

**ექ. თაყაიშვილი.** დაუყოვნებელ, საჩქარო საქმედ მიმაჩნია მუზეუმისა და ბიბლიოთეკისათვის საკუთარ შენობის აგება. ჩვენ თვითონ ბარბაროსებს ვუწოდებთ იმათ, ვისაც ერის დიდების მაჩვენებელი ძვირფასი ნაშთები ესპობა. როგორც ჩვენ მოგვდის. ეს ძვირფასი განძი მეტად უხეირო ადგილას არის, უსისტემოდ ჰყრია, რომელიც დღითი დღე ფუჭდება. ჩემის აზრით ფონდები უნდა შეერთდეს და შენობის აგებას ეხლავე უნდა შეუდგეთ. ბ-ნი ჭიჭინაძე განათლებაზე ლაპარაკობს, მაგრამ განა ეს დაწესებულება უდიდესი საგანმანათლებლო დაწესებულებათაგანი არ არის? განათლებასა და საზოგადოდ სწავლა-აღზრდის საქმე დიდად არ შეფერხდება, თუ ილიას ფონდს დროებით შეუერთებთ სამუზეუმო ფონდს. პირიქით, თუ ის ძვირფასი განძი და მასალა დავკარგეთ ან გავაფუჭეთ, რომლითაც შეგვიძლიან ვიამაყოთ, ადვილად ველარ ვიშოვით, ვეღარ მოვიპოვებთ მას. აი, ამიტომ არის დასაჩქარებელი შენობის აგება. ამისთვის სხვა მიზნისათვის შეკრებილი ფონდებიც არ უნდა დავიშუროთ, დროებით მუზეუმი და ბიბლიოთეკა შეიძლება მართლა ისევ ძველს ადგილს დავტოვოთ, თუ რა თქმა უნდა სადგომი გაფართოვდება იმით, რომ მალე იქიდან გამგეობა წიგნის მაღაზიას გადაიტანს სხვა უფრო მოხერხებულ ადგილას (ტაში).

**დ. დავითაშვილი** დეეთანხმა სხვა ორატორებს და სთქვა, დღესვე შეუდგეთ ხელის მოწერის გამართვას. მე, ჩემის მხრით, ეხლავე მაგ საქმისათვის 10 მან. შემოვიტან და ყოველ წლობით შემდეგ ამდენსავე წარუდგენ გამგეობას, ვიდრე შენობისათვის საკმაო თანხა შესდგებოდეს.

**ქ. ყავრიშვილი** მიემხრო იმ აზრს, რომ ადგილი მუზეუმისათვის ტფ. ქალაქის თვით-მმართველობამ უნდა დაუთმოს. რაც შეეხება შენობას, დაიწყეთ შენობა და ფულს ვიშოვითო. თუ გიმნაზიის შენობისათვის 1 მილიონ მანეთამდე ვიშოვნეთ, განა ასი ათასი მანეთის გამოღება გაგვიჭირდება! თუ დროებითი ბინა გინდათ, მე, როგორც ამშენებელ კომიტეტის წევრი, მოგახსენებთ, როგორიც გინდათ, ისეთი ბინა გამოირჩიეთ ქართულ გიმნაზიის ახალ შენობაში და ეგ ძვირფასი მასალა იქ მოათავსეთ, ვიდრე საკუთარი შენობა აიგებოდეს.

ილაპარიკეს სხვებმაც. კრებამ ბოლოს ერთხმად დაადგინა, ცნობილ იქმნას აუცილებელ საჭიროებად საბიბლიოთეკო - სამუზეუმო შენობის აგება. ამისათვის დროებით შეერთდეს ფონდები: სასტამბო, სამუზეუმო და ილიას ფონდისა (32,000 მანეთი); გაიმართოს ხელის მოწერა ეხლავე შენობისათვის საჭირო თანხის შესადგენად და მიემართოს შუამდგომლობით როგორც კერძო პირთ, ისე ქალაქისა და სხვა დაწესებულებებს დახმარებისათვის. არჩეულ იქმნეს განსაკუთრებული კომისია 11 კაცისაგან, რომელსაც დაევალება ეს საქმე. კომისიის წევრებად იქმნებიან: სამი წევრი წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობიდან, სამი საისტორიო საზოგადოებისაგან და ხუთიც კრებისაგან. კრებამ თავის მხრივ კომისიის წევრებად აირჩია: კლდიაშვილი, ნ. ელიავა, ვ. მუსხელიშვილი, დ. ჯორჯაძე და ივ. ვართაგავა. კანდიდატებად: პ. ჭიჭინაძე, მღ. ციცქიშვილი, ვ. ლამბაშიძე და დ. დავითაშვილი.

კრებამ მიიღო და დაამტკიცა ინსტრუქცია საზოგადოების გამგეობასთან ქალთა კომისიისა. კომისიის წევრებად აირჩიეს შემდეგი მანდილოსნები: ეკ. გაბაშვილისა, ელ. ყაზბეგი, ნ. ყიფიანი, ვ. ლამბაშიძე, ნ. მაჭუტაძე, ოლ. აგლაძე, ელ. დარჩიაშვილი, ელ. აბხაზი, კნ. ელ. ორბელიანისა. კანდიდატებად თ. ჯიჯავაძე, ან. დიასამიძისა, ელ. ვაჩნაძე და ა. პავლიაშვილი.

დასასრულ კრებამ განიხილა 1910 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. ზოგიერთებმა მეტად ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. საწევრო ფული 900 მან. იყო ნავარაუდევი. კრების ზოგი წევრი კი ამტკიცებდა,

---

— ცხოვრების უკულმართობისათვის!—მოუფიქრებლად გაიმეორა გაიოზმა.

— დაანებეთ თავი, გეყოფათ სმა! უსაყვედურა ქმარს ნატომ და ამოიხვნეშა.

— ადამიანო, ეს რა შენი საქმეა... ნუ გვეჩხუბები, თორემ...—გაჯავრდა პეტრე და მუშტი გააქნია.

— კარგი, პეტრე... რა საკადრისია ეგეთი სიტყვები... გთხოვთ დამშვიდდე!—შენიშვნა მისცა გაიოზმა.

ნატო ზურგით კედელს მიეყრდნო და ჩასთვლიმა. ისევ მოუხშირეს სმას. წინანდელი თავდაჭერილობა შეუმჩნევლად გაჰქრა. ლაპარაკს უმატეს, ახმაურდნენ. ბაასი მეეხებოდა ბიჭიკოს გარდაცვალებას და საიქიო ცხოვრებას. ისეთს რამეებს ამბობდნენ, რომ შიშის გამო ტანში ჟრუანტელი უვლიდათ.

— ადამიანი რო კვდება, სული მაშინვე შორდება სხეულს თუ არა?—იკითხა ზაქრომ და პასუხის მოლოდინში ჭიქა დასცალა.

— დანამდვილებით აშის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ გამიგონია, რომ მიცვალებულის სული რამდენიმე ხნით სახლში რჩება და ყველაფერს ჰგრძნობს და ჰხედავსო!—უპასუხა პეტრემ და ჩიბუხს თამბაქო დაუმატა.

— მაშ, ეხლა ბიჭიკოს სულიც აქ არის?—იკითხა გაოცებულმა ზაქრომ და გარშემო მიიხედ-მოიხედა, თითქო რილაცის დანახვა სურსო.

— რას ამბობ, შე ვირის თავო, აქ არის, მაშ სად იქნება. ის კი არა, მამაჩემი რო გარდაიცვალა, ორმოცის დღის განმავლობაში საკუთარს კერძს უდგამდნენ. ხანდისხან ეკკლესიაში მოსამსახურე დიომიდე დავითნსაც კი უკითხავდა ხოლმე!..—გააწყვეტინა გაიოზმა.

— დავითნი თუ საჭიროა, რატომ ჩვენ არა ვკითხულობთ?..—იკითხა ისევ ზაქრომ.

— დავითნი არა მაქვს, მაგრამ სახარება რომ წავიკითხოთ, ვითომ რა უშავს?—სთქვა პეტრემ და განზე გააფურთხა.

— რა უნდა უშავდეს, შე კაი კაცო, განა სახარებაც სამღრთო კანონი არაა?—გაიკვირვა გაიოზმა

— მაშ, თუ აგრეა, რაღად ვგვიანობთ, დროა საქმეს შეუდგეთ—ხელი ჩაიქნია პეტრემ, სკამიდან სახარებას სწვდა და გაიოზს გადასცა.

— მე მაინცა და მაინც თვალს აღარ მიჭრის, სჯობია ისევ ზაქრომ წაიკითხოს...—სთქვა გაიოზმ და სახარება ზაქროს მიაწოდა.

— სულ ერთია ვინც წაიკითხავს, მხოლოდ სმენა იყოს!—დაურთო პეტრემ.

ზაქრო ხმა ამოუღებლად მაგიდას მიუჯდა და სახარება გადაშალა. პეტრე და გაიოზი ბარბაცით წამოდგნენ და პირჯვარი გამოისახეს.

— წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა, დავითისა, ძისა აბრაამისა...დაიწყო ზაქრომ.

პეტრე და გაიოზი სმენად გადაიქცნენ, უაზროდ პირჯვარს ისახავდნენ და ქმუქავდნენ. ბოლოს ხმაურობა ასტყდა:

— შენ ვერა კითხულობ რიგიანად; ეს კითხვა კი არა, წვალებაა და სხვა არაფერი!.. სთქვა გაიოზმა და ზაქროს ხელი წაჰკრა.

— მაშ, როგორ უნდა წავიკითხო?—იკითხა შეურაცხყოფილმა ზაქრომ.

— როგორ და ისე, როგორც წესი მოითხოვს... ესე იგი, სახარებას კითხულობენ ხმა მაღლა და გრძნობით; შენ კი თვითეულ ანბანს ეძებ და საცოდავად ბუყბუყებ.

— ე...ე...ე... მოჰყვები ეხლა წილადობილას.., თუ აგრეა, ბარემ თვითონ წაიკითხე, მორჩა და გათავდა!—წაიბუზღუნა ზაქრომ და წიგნი დასდო.

— დიახაც რომ წავიკითხავ!—უპასუხა გაიოზმა, სახარების ასაღებად დაიხარა, მაგრამ წაბარბაცდა და პეტრეს დაეჯახა.

დამანებეთ თავი!..—უაზროდ წამოიძახა პეტრემ, ტახტზე ჩაიკეცა და ხვრინვა ამოუშვა.

ო...ო...ო!—ამოიხვნეშა გაიოზმა და პეტრეს გვერდით დაეშვა.

— შვილო, ბიჭიკო!..—ჩაიკვნესა ნატომ.

ზაქრო ადგილიდან არ დაიძრა, ლონე მოიკრიფა და კითხვას შეუდგა: „მაშინ იესო აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან“.—ამოიკითხა ზაქრომ და შეჩერდა. თავში საშინლად დაუმძიმდა, ასოები დაწვრილმანდნენ, თითქო გაფრინდნენ კიდეცაო.

„მართლაც რომ არ მეხერხება კითხვა!“ გაიფიქრა ზაქრომ; სახარება დახურა, ბარბაცით წამოდგა და მიცვალებულს მიუახლოვდა.—როგორ დაუხუჭავს თვალები ამ საცოდავს, რა უშავს გაახილოს!.. გაუელვა ზაქროს თავში, ბავშვის მილეულ სახეს რომ დახედა. სწვდა მიცვალებულს და ქუთუთოები აუწია. ქუთუთოებს ქვეშიდან გამოჩნდა თვალის ბაიები.

— ადექით ჩქარა, ბიჭიკომ თვალები გამოახილა!.. — დაიღრიალა ზაქრომ.

ოთახში ალიაქოთი ასტყდა. ნატო შეშლილივით წამოიჭრა და შეჰკივლა. გაიოზი ბარბაცით წამოდგა და ზაქროს დაეჯახა. თავბრუდახვეული პეტრე ტახტზე წამოჯდა, არყის ბოთლს ხელი ჰკრა და დაღვარა.

— „დამაცათ, საშიშარი არაფერია!—წამოიძახა გაიოზმა, როცა გაიგო საქმის ვითარება, მიცვალებულს ქუთუთოები დაუწია და ზედ თითები დააჭირა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი დამშვიდნენ. მიცვალებულს თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა. მთვრალები ტახტზე მხარ-თეძოდ იწვნენ და მძიმედ ხვრინავდნენ. მხოლოდ შეშინებული ნუცა ვერა სცხრებოდა: ცრემლ-მორეულ დედას მკერდზე ეკვროდა, ხელებს აფათურებდა და ბუდბუტებდა: „დედა, მეშინიან“.

გათენებისას შავი ღრუბლები მიილეულა და შეუმჩნევლად გაჰქრა. სარკესავით მოწმენდილ ცის კაბადონზე დღის მნათობი ამოცურდა და ოქროსფერი სხივები ქალაქს გადმოსტყორცნა. ქალაქი შეინძრა, გამოფხიზლდა. ქუჩებში ხალხი გამოეფინა, სიცოცხლე ისევ გაჩაღდა. სარდაფში კი ეძინათ...

**ი. წუწუნავა.**

თუ ენერგიულად მოიქცევა გამგეობა, საწევრო ფული 2000 მანეთამდე შეიკრიბებაო. კრებამ დიდი ხმის უმეტესობით შემოსავლის ეს მუხლი 1200 მან. გაადიდა.

**ვახ. ლამბაშიძემ** დიდის ხანს ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის შესაფერი წიგნების გამოცემას და საჯარო ლექციების გამართვას საინტერესო და საჭირვარამო საკითხებზე. საფრანგეთში ამა თუ იმ საგნის შესახებ ლექციები იბეჭდება კიდეც და ხალხში საჯაროდ იკითხება, რაც დიდად ხელს უწყობს ხალხის განვითარებას. ამიტომ წინადადება შემომაქვს წიგნების გამოსაცემად, ლექციების დასაბეჭდად და გასავრცელებლად 1000 მან. მაინც გადაიდოსო.

ზოგიერთ მუხლის შეცვლით შესაძლებელი გახდა 500 მან. გადადება ამ საქმისთვის. კრებამ დაამტკიცა აღრიცხვა. მომავალ წელს შემოსავალი მოსალოდნელია 22,170 მან. 77 კაპ. ხარჯიც ამდენი. აღრიცხვის განხილვის დროს ბ-ნმა ქარცივაძემ აღნიშნა უნუგეშო მდგომარეობა საგურამოს სკოლისა. იგი სარდაფშია მოთავსებული და ყველა მსურველს ვერ იტევსო. საჭიროა სკოლა ზემო სართულში იქნას გადატანილიო. თავმჯდომარემ აღუთქვა კრებას, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, გააუმჯობესებთ სკოლის სადგომსაო.

დილის 11 საათზე დაწყებული კრება საღამოს 7 საათზე დასრულდა. რადგან ყველა საქმის განხილვა დამთავრდა, თავმჯდომარემ კრება დახურა.

# შორეული აღმოსავლეთი

**„ტაიმ"-ის აზრი.**

**ინგლისური გაზ. „ტაიმს"-ი** შემდეგსა სწერს შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა მდგომარეობის შესახებ:

„დიპლომატია უფრო ჭკვიანურად, ვიდრე ჭხსნის გაჭირვებულ მდგომარეობას, შექმნილს სხვა და სხვა კონცესიების და ხელშეკრულობების მიერ, რომლებითაც შეზღუდულია ჩინეთის უზენაესი უფლება ხარბინსა, მუკდენსა და რკინის გზის ლიანდაგზე.

ჩინეთის მთავრობა, რომელიც მეზობლის თვალით უცქერის კარგად იცის, რომ სახელმწიფოებს უთანხმოება მოზდით შორეულ-აღმოსავლეთის საქმეების თაობაზე, თავის სასარგებლოდ იყენებს ამ უთანხმოებას".

**ხმა რუსეთ-იაპონიის შეთანხმებაზე.**

ჩინეთში ხმა გავრცელდა, ვითომ რუსეთი და იაპონია შეთანხმდნენ და მალე ეს ორი სახელმწიფო მანჯურიას დაიჭერსო. ამ ხმამ ძლიერ შეაწუხა ჩინელები."

**ინციდენტი კამჩატკაზე.**

ამას წინად, იაპონიის კრეისერ „ხოიო-მარუნ" კამჩატკის ნაპირების რუქა გადაიღო და ზღვის სიღრმე გაზომა. ამ ამბავმა ძლიერ აღელვა რუსული პრესა. ამ ჟამად იაპონიის საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა გაზეთებში, ამ კრეისერს არავითარი ბძანება არა ჰქონია მიცემული, რომ ნაპირების რუქა გადაეღო. მაგრამ რადგან რუსებს აქამდე თითქმის სულ არ აქვთ გამოკვლეული ეს ნაპირები, ამიტომ ყოველი გემი, რომელიც კი კამჩატკაში მიდის, იძულებულია თავის საკუთარ უშიშროების გულისთვის გაზომოს ხოლმე ზღვის ნაპირები. ასე მოიქცა ის იაპონიის კრეისერიც, რომელიც კამჩატკის ნაპირებთან დადიოდა მხოლოდ იაპონელ მეთევზეების დასაცველად. რუსეთის მთავრობამ-კი ეს ჩვეულებრივი და აუცილებელი გაზომვა ნაპირების სიღრმისა ჩათვალა სტრატეგიულ რუქის გადაღებადო".

ამ განმარტების თაობაზე „რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტი შენიშნავს: მე თითონ ვიყავ კამჩატკის ზღვაში და დავრწმუნდი, რომ რუსული რუქები მართლაც და სრულიად უხეირო ყოფილა. ამიტომ ამ ზღვაში სიღრმის გაუზომავად სიარული სრული სიგიჟე იქნებოდა. იაპონელებს არა ერთხელ გაუფრთხილებიათ თავაზიანად რუსის მეზღვაურები, რომ აქა და აქ საშიში ადგილებია, რომლებიც თქვენს რუქებში არაა აღნიშნულიო. მაინც რუსის გემების უფროსებიც ამ ზღვებში სიარულის დროს მუდამ სარგებლობენ იაპონურ და ინგლისურ რუქებით, თუმცა-კი არც ეს რუქებია უნაკლულო.

# სპარსეთის ამბები

**ჯარის რეორგანიზაციის პროექტი.**

სამხედრო მინისტრმა სეპეხდარმა შეადგინა და მეჯლისს წარუდგინა პროექტი ჯარის რეორგანიზაციისა. პროექტით, სპარსეთმა უნდა იყოლიოს ჯერ-ჯერობით 30 ათასი ჯარის კაცი. რაზმის უფროსებად უნდა დაინიშნენ მხოლოდ ის აფიცრები, რომლებსაც სამხედრო სწავლა მიუღიათ ევროპაში.

**სესხი.**

სარდარ-ასადს უთქვამს „რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტისათვის: „მამედ-ალი-შაჰის თვითმპყრობელმა მთავრობამ სპარსეთის ხაზინის ფული მთლად შეალია ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას, ჩვენ ცარიელი ხაზინა დაგვხვდა. ეხლა მხოლოდ იმის იმედი-ღა გვაქვს, რომ ინგლისი და რუსეთი გაგვიწევენ დახმარებას. მეჯლისმა გადასწყვიტა რა სესხის აღება, ორსავ სახელმწიფოს წარმომადგენლებს სთხოვა, იშუამდგომლეთ, რომ წინ და წინვე ავანსად მოგვცეს ერთი მილიონი მანეთი აუცილებელ ხარჯების დასაკმაყოფილებლადაო. ვსთხოვთ რუსულ პრესას, მხარი დაუჭიროს მეჯლისის თხოვნას.

**უცხოელ მოღვაწეების მოწვევა.**

მთავრობის პროექტის თანახმად, მეჯლისმა დაადგინა, უცხოელი მცოდნე კაცები მოვიწვიოთო. მეჯლისი ამ დღეებში გამოუცხადებს სახელმწიფოებს თავის დადგენილებას და სთხოვს, რომ მათ თავ-თავიანთი კანდიდატები დანიშნონ.

გამოჩენილ სპარსელ დეპუტატს უთქვამს „რუს. ს."-ს კორესპონდენტისთვის, რომ რუსს არ მოვიწვევთ მრჩევლად, რადგან რუსები მეტად ცუდი კონსტიტუციონალისტები არიანო.

— თქვენი მთავრობა ისეთს კაცს გამოგვიგზავნის, რომ იმის რჩევა ვერაფერ სარგებლობას მოგვიტანს. მაგრამ არც ინგლისიდან მოვიწვევთ კაცებს. მეჯლისი მხოლოდ ნეიტრალურ სახელმწიფოებიდან აპირებს მცოდნე კაცების მოწვევას.

**რუსის სკოლის დირექტორის საქციელი.**

მთელი თეირანი აალაპარაკა რუსის სკოლის დირექტორის იზმაილოვის საზიზღარმა საქციელმა. იზმაილოვი კორესპონდენციებს სწერს „ნოვ. ვრემია"-ში „ხან სერაბსკი"-ს ფსევდონიმით. მას ისე ეცემნა სკოლის მოსამსახურე სპარსელისათვის, რომ საცოდავი მოსამსახურე რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. მისი ოჯახი თავის ხელით უპირებდა სამართლის გადაჭრას იზმაილოვს, მაგრამ სპარსელმა მოხელეებმა დაუშალეს. რუსეთის ელჩის ბრძანებით იზმაილოვი დაატუსაღეს.

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** შაბათს ზუბალაშვილის სახალხო სახლში სცენისმოყვარეთა დასმა წარმოადგინა თარგმნილი პიესა „ქორწიანი ტროლა". ეს პიესა წინადაც წარმოუდგენიათ. ჩვენ პირველად ვნახეთ და, სწორე მოგახსენოთ, არ მოგვეწონა. ვერ გავიგეთ, რა უნდა ეთქვა ავტორს: ის, რომ მდიდართა და ღარიბთა შორის ხიდია ჩატეხილი, თუ ის, რომ კაპიტალისტებს შორისაც მოიპოვებიან ღმობიერი, გულ-კეთილი და მუშების მოსიყვარულე ადამიანები, მთელ პიესაში ერთად-ერთი ბოროტი კაცია, დანარჩენნი ნამდვილი ანგელოზები არიან... ყველა ამას გარდა, პიესა ძალზე გაჭიანურებულია.

წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. სცენის-მოყვარეთ აშკარად ეტყობოდათ მოუმზადებლობა. როლები დაზეპირებით არ იცოდნენ, ერეოდათ. ანსამბლი სუსტობდა.

ხალხი ბევრი დაესწრო, თუმცა თეატრი ჩვეულებრივად სავსე არ იყო.

წარმოდგენა პირველის ნახევარზე გათავდა, თუმცა ადვილად შეიძლებოდა თერმეტზე გათავებულიყო. წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვურჩევთ სახალხო წარმოდგენების მმართველთ, წესად დაიდონ, რომ წარმოდგენა უსათუოდ 11-ზე გაათაონ ხოლმე. ერთი კვირის წინად კამისარჟევსკაიამ ექვსი წარმოდგენა გამართა სახაზინო თეატრში და ექვსივე თერთმეტ საათამდე გაათავა. ყველა, ვინც თეატრში დადიოდა, ძალიან მადლობელი იყო. მით უმეტეს მადლობელი იქნება სახალხო თეატრში მოსიარულე ღარიბი ხალხი, რომელსაც ეტლების დაქირავება არ შეუძლიან.

**ქართული თეატრი.** შაბათს, 19 დეკემბერს, ქართულმა დასმა წარმოადგინა კ. მესხის მიერ გადმოკეთებული დრამა. „ბაგრატ მეთხე". აღსანიშნავნი არიან: ი. ზარდალიშვილი (ბაგრატ), კ. მესხი (თეოფილე) ხალხი ნაკლებად დაესწრო.

# უცხოეთი

**საარჩევნო ბრძოლა ინგლისში.**

საარჩევნო აგიტაციის დროს კონსერვატორები არა საშუალებას არ ერიდებიან და სხვათა შორის ძალას ატანენ და ხელზე იხვევენ „გერმანულ საფრთხეს". ისინი არწმუნებენ ხალხს, რომ ლიბერალური სამინისტრო ყურს არ უგდებს ინგლისის დაცვას გარეშე მტერთაგან, როდესაც ჩვენ ყოველ წამს უნდა ველოდეთ გერმანელთა შემოსევასაო. ამ საფრთხეს კონსერვატორები აკავშირებენ ირლანდიის ავტონომიასთან და ასე აშინებენ უბრალო ხალხს: თუ ლიბერალების სამინისტრო დარჩება, ინგლისის ფლოტი დასუსტდება, ირლანდია მოსწყდება ინგლისს, ხოლო გერმანიის ჯარი და ფლოტი ირლანდიის ნავთსადგურ ბელფასტში მოიმაგრებენ ფეხს და იქიდან მოიტანენ იერიშს ინგლისზეო.

მაგრამ ეს საბუთი ახალი აღარ გახლავთ. კონსერვატორებმა ჯერ კიდევ გლადსტონის დროს მოიხმარეს ეს საბუთი ირლანდიის ავტონომიის წინააღმდეგ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ გერმანიის ნაცვლად ხალხს საფრანგეთის დაცემით აშინებდნენ.

კონსერვატიულ გაზ. „დეილი მეილ"-მა დაბეჭდა წერილები დამოუკიდებელ სოციალისტის ბლაჩფორდისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს სოციალისტიც არის, წრეს-გადასული შოვინისტიც და გერმანიის მტერიც.

ლიბერალმა მინისტრებმა პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ კონსერვატორებმა სამშობლოს დაცვის საქმე გაიხადეს საგიტაციო იარაღად. ამას წინად, პირველმა მინისტრმა ასკვითმა სიტყვა წარმოსთქვა ლივერპულში და მკაცრად დაჰგმო ბრძოლის ასეთი ხერხი, რომელიც ამწვავებს შოვინისტურ გრძნობებს და თავზარსა სცემს ხალხს, რაც სრულიად არ შეშვენის ინგლისის დიდებულ ერსაო. პირველი მინისტრი მით უფრო თამამად და რიხით ლაპარაკობდა კონსერვატორების წინააღმდეგ, რომ მისმა სამინისტრომ სწორედ ამ დღეებში გადასწყვიტა კიდევ ოთხი დიდის ჯავშნიან გემის — დრედნოუტის აშენება.

მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ პარლამენტი დათხოვნილი იქნება 10 იანვარს (ახალი სტილით, ჩვენებურად 28 დეკემბერს). ახალი არჩევნები ინგლისის ჩვეულებისამებრ გასტანს ორ კვირაზე მეტს. არჩევანი დაიწყება 14 იანვარს (1 იანვარს) და დასრულდება 1 თებერვალს (19 იანვარს).

ამ ჟამად უკვე დასახელებულია თითქმის ყველა კანდიდატურა. კონსერვატორები, რომლებაც 1906 წელს 20 ადგილი დაუთმეს უბრძოლველად ლიბერალებს, ეხლა აღარც ერთ ოლქს აღარ უთმობენ და ყველგან დაასახელეს თავიანთი კანდიდატები. მუშათა პარტიამ დანიშნა 78 ოფიციალური კანდიდატი, რომელთა უმეტესობას მხარს აძლევენ ლიბერალებიც. ამომრჩეველთა საზოგადო რიცხვი წელს უდრის 7,705,717 კაცს.

# განცხადებანი


**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ვენ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—27)

კირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აპეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საშვებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—240)

დიდ გომარეთის

**სკოლაში**

ბავშვებისათვის მინდა ახალ წლის შემდეგ გავმართო „შობის ხე". ამისათვის საჭიროა მცირეოდენი ხარჯი. ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას ცოტაოდენი შემოწირულება აღმოგვიჩინოს ფულით „შობის ხის" გასამართავად.

შემოწირულება მიიღება გაზეთ „დროების" რედაქციაში, იანვრის 6-მდის.

დიდ-გომარეთის სკოლის მასწ.
(3—1) **კ სეხნიაშვილი.**

გაზეთ „დროების" რედაქციის კანტორაში იყიდება ახალი წიგნი

Bâton-ის

ერი და ... 250—300 გვ. ფასი 60 კ.

(6—5)

**ნიკოლოზ ანტონის ძე საგინაშვილის ქ. ბ ა თ ო მ შ ი.**

რადგან ბათომის, ქუთაისის და მისივე მაზრის ... ჩემი სავაჭროს გადატანა ახლად აგებულ «პ ა ს ა ჟ შ ი», და ამასთან რადგან ბლომად მაქვს მოგროვილი დიდი ხნის საქონელი და ... ახალი საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ...

**გაიმართა ძლიერ გაიაფებული ბაზარი 7 ამა ქრისტეშობისთვიდან ვიდრე დამლევამდის.**

ფასები დაკლებული იქნება ჩვეულებრივზე **20-დან 60 პროცენტამდის** ყველა ქვემო-ჩამოთვლილ საქონლებზე: ყოველ-გვარი მუშეულობა, ფარფორის და ფაიანსის ხერგიზი, ლამპეული ნავთისა და ელექტრონისა და მისი პროვოდები, ბრინჯეული, მელხიორის დანა-ჩანგლები, სპილენძეული, სამოვრები, ემალ-გადაკრული ჭურჭლეული და სამზარეულოს ყოველ-გვარი მოწყობილება — ქეჩქები, ქუხნები ნახშირისა, შეშის თუ ნავთისა, კლიონკები. ყოველ-ნაირი მებელი, სკამები, სარკეები, პირის საბანებლები, რკინის კრაოტები, მატრაცები და ზვა ბევრი ამგვარი საქონელი იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება მობრძანდება და თვით დარწმუნდება, რომ მართლაც ძლიერ იაფი ფასებია დანიშნული საქონელზე. ვაჭრობა ნაღდზეა და გადაწყვეტილი ფასიც საქონელზეა დაწერილი. (10—დ.—9)

1910 წელს კვლავ გამოვა საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი 1910 წელს

**„ნაკადული"**

(წელიწადი მეექვსე)

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. «ნ ა კ ა დ უ ლ ი ს» რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, 8, და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურების ქარვასლაში).

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1. „დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი" — ზღაპარი ევალდისა; 2. „მარჯნები" — ზღაპარი ევალდისა; 3 „თორმეტი და" — ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა — სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად — შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი — სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი — სამი მანეთი.

რედაქტორი: **მარიამ ივანეს ასული დემურია.** გამომცემელი: **თ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**
(6—3)

სამეურნეო ჟურნალი

**მ ო ს ა ვ ა ლ ი**

◀ **წელიწადი მეორე** ▶

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „МОСАВАЛИ".
(5—2)

**ზ ღ ა პ რ ე ბ ი**

**ქართლში, კახეთში და ფშავში**

შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 წიგნისა 1 მან. 50 კ. საწყობი იქვეა.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Обществу грамотности. (15—12)

კვირეული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

**1910 წ. საქართველოს მ ო ა მ ბ ე 1910 წ.**

**მიიღება ხელის მოწერა.**

ერთის წლით 4 მან. 50 კაპ., უცხოეთში 6 მან.. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. სხვათა შორის 1910 წლიდან დაიწყება ბეჭდვა განთქმულ მწერლის მოპასანის საუკეთესო რომანისა: „ცხოვრება".

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства. ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Головинскій просп. д. Манташева, номера „МУХРАНИ" Семену Кипіани. (6—5)

1909 წლის ნოემბრიდან ბაქოში გამოდის დიდი ყოველდღიური საღამოს გაზეთი

**„ვეჩერნაია ზარია"**

(ВЕЧЕРНЯЯ ЗАРЯ),

სადაც მრავალი ცნობაა მოთავსებული საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების შესახებ.

ყოველ დღე: დეპეშები და კორესპონდენციები კავკასიის სხვა და სხვა ადგილებიდან, კასპიის იქითა მხრიდან, რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან.

ყოველ დღე: საბირჟო ცნობები საკუთარ კორესპონდენტების დეპეშებით.

ყოველ დღე: წერილები და შენიშვნები დღიურ საჭირ-ბოროტო საკითხებზე. ახალი ამბები სამ სტრიქონში. ქრონიკა. ლიტერატურული განყოფილება. ჰაერში ფრენა. თეატრი და მუსიკა. საზოგადო ცხოვრება. სავაჭრო-სამრეწველო განყოფილება. გამოსადეგი ცნობები, განცხადებანი და სხვა.

ყოველ დღე: ფელეტონები დღის საჭირბოროტო თემებზე: ანტ..., ა. გარინისა, იგლასი, L'Mar'-ის, მიხეილ ნ, და სხვათა.

ხელის მოწერის პირობები:

ერთი წლით 7 მან. 20 კ. — სამი თვით 2 მან.
ნახევ. წლით 4 მანეთი. — ერთ თვით 1 მან.

**ცალკე ნომერი 3 კაპეიკი.**

განცხადებანი 1-ლ გვერდზე 25 კ., მე-4 გვერდზე 15 კაპ. პეტიტის სტრიქონზე. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის სტრიქონი 1-ლ გვერდზე 30 კაპ., მე-4 გვ. 20 კაპ.

კავკასია და ამიერ კავკასიის მხარე ისეთი ადგილებია, სადაც მრეწველობა განვითარებული არ არის და სადაც მოდის დამუშავებული საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკა-ქარხნებიდან. თუ ისეთ გავრცელებულ გაზეთში, როგორიცაა „ვეჩერნაია ზარია", მოთავსებული იქნება განცხადებანი, საქონლის გასაღებასაც ხელი შეეწყობა.

რედაქცია და კანტორა: Баку, Красноводская, типографія „Фаросъ". Телефонъ № 15—98. რედაქტორ-გამომცემელი **ვ. ლილეევი.** (3—2)

Съ января 1910 г. въ С.-Петербургѣ начнетъ выходить еженедѣльн. журналъ

**„ЖИЗНЬ КАВКАЗА",**

органъ печати научный, внѣпартійный прогрессивный, свободный отъ всякихъ національныхъ симпатій и антипатій

Газета ставитъ себѣ цѣлью всестороннюю освѣдомленность по всѣмъ вопросамъ Кавказа.

Годовая цѣна «Жизни Кавказа»: 7 р., полуг. 4 руб Цѣна объявленій впер. текста: стран. большого формата 100 р., ½ стран.—60 р., ¼ стр.—35 р., и позади текста: стран. 60 р., полстран.—35 р. и ¼ стран.—20 р. Подписка на журналъ и объявленія принимаются или адресуются С.-Петербургъ, Главная Контора журнала „Жизнь Кавказа"—книжный магазинъ „Наша Жизнь" Литейный пр., 32.

(5—1) Редакторъ-издатель **А. Котельниковъ.**